



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 482/ს  
22/09/2023

482-21-4-202309221620



### **ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ნარუჯაში შპს „დამირ 2017“-ის სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „დამირ 2017“-ის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ნარუჯაში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „დამირ 2017“-ის კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2023 წლის 5 სექტემბერს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილითა (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) და 82<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით (ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევა) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №082679 და №082544 ოქმები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „დამირ 2017“-ს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ნარუჯაში 31 262 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 26.25.13.350) ნაწილზე (30 000 მ<sup>2</sup>) გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის 9 900 ნერგი. პლანტაციის მორწყვის მიზნით, ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა. აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ვაზირ ბოლქვადის საკუთრებას, რომელსაც კომპანია ფლობს 10 წლიანი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 120 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტები მდ. ვაზირი და მდ. ლელა მიედინება მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოცვის ბაღის მოსარწყავად წყალაღება ხდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ მდებარე ზედაპირული წყლის ობიექტის - მდ. ვაზირის სანაპიროზე მოწყობილი წყალმიღები გუბურადან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-743650, Y-4643321. აღნიშნულ გუბურასთან მოწყობილია სატუმბი სადგური, სადაც განთავსებულია ერთი ერთეული ტუმბო და ფერტიგაციის რეზერვუარი. წყალაღების წერტილიდან აღებული წყალი 10 მეტრი სიგრძის მქონე პოლიეთილენის მილსადენით მიყვანილია სატუმბ სადგურამდე. სატუმბი სადგურიდან მოცვის ნარგავებამდე მილსადენი მიუყვება საპროექტო მიწის ნაკვეთს ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. აღნიშნული მილების სრული სიგრძე შეადგენს 9 900 მეტრს (D - 110 მმ,

90 მმ, 75 მმ და 40 მმ). მილსადენი განთავსებულია 40 სმ სიღრმის მქონე ტრანშეაში და გადის ბაზოკვლების ბოლოებთან, სადაც უერთდება ე.წ. ბაზოკვლებში არსებულ წვეთოვან მილებს (D- 16 მმ).

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა ხორციელდება სეზონურად, 6 თვის (მაისი–ოქტომბერი) განმავლობაში. მოსარწყავად გამოყენებული წყლის მოცულობა შეადგენს წელიწადში 4 455 მ<sup>3</sup>-ს. სარწყავად აღებული წყლის მაქსიმალური მოცულობა თვეების მიხედვით შეადგენს 222.75 მ<sup>3</sup>-ს (დღეში დაახლოებით 29.7 მ<sup>3</sup>). დოკუმენტის თანახმად, მოცემული რაოდენობით მდ. ვაზირიდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოცვის ბაღის მოსარწყავად გათვალისწინებული სამელიორაციო სისტემა უკვე მოწყობილია და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან, სარწყავი სისტემა წარმოდგენს არსებულ ობიექტს და არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციას, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა სატუმბ სადგურში განთავსებული მცირე წარმადობის მქონე ტუმბო. დოკუმენტის თანახმად, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის (120 მეტრი) გათვალისწინებით, სარწყავი სისტემის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და იგი არ წარმოდგენს ცხოველებისათვის ხელსაყრელ საარსებო გარემოს. ტერიტორიაზე წარმოდგენილია დეგრადირებული ბალახოვანი საფარი და ბუჩქოვანი მცენარეები, რომლებიც განთავსებულია მიწის ნაკვეთის საზღვარზე და ქმნის ცოცხალ ღობეს. დოკუმენტის თანახმად, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წყალაღების წერტილის მიმდებარედ არ ფიქსირდება სხვა წყალმოსარგებლები, შესაბამისად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციით კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაეგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ნარუჯაში შპს „დამირ 2017“-ის სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „დამირ 2017“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „დამირ 2017“-ს და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „დამირ 2017“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

